საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004303

„ 1 “ აპრილი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჯაროსამართლებრივი დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ.ნიჟარაძის I შეს. №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ბაიუმის საზღვარი ნავსადგური“ (ს/ს 245383678)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

გარემოსდაცვითი გაძღვანელობა

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004303
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N004303 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: კერძოსამართლებრივი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მაია სახელმწიფო ინსპექტორი ნაკი კოტეტიშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტეტიშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 1 აპრილის №004303 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, 2024 წლის 9 ივნისს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა, ქალაქ ბათუმში, ბაქოს ქუჩა №15-ში მდებარე შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს (ს/კ 245383678) ინსპექტირება.

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს საქმიანობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ნოემბრის № 2-956 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (2009 წლის 2 ივნისის № 62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა).

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური" არ უზრუნველყოფს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ნოემბრის № 2-956 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2009 წლის 2 ივნისის № 62-ე ეკოლოგიური ექსპერტიზა) და გზშ ანგარიშით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, კერძოდ:

- 2024 წლის 8 ივნისს, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს ტერიტორიაზე არსებულ მცირე მექანიზაციის საამქროში, 100მ²-მდე ფართობზე ადგილი ქონდა ხანძრის შემთხვევას. კომპანიის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის 8.2 პუნქტის შესაბამისად შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური" ვალდებული იყო საგანგებო სიტუაციის (ხანძარი) შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა გარე მარეგულირებელი ორგანოსათვის (გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი,) რაც კომპანიის მიერ არ იქნა შესრულებული.

გამოვლენილ დარღვევაზე, 2024 წლის 24 ივნისს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 089855 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 16 აგვისტოს № 4-1063/24 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე გამოუცხადა სიტყვიერი შენიშვნა. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

2026 წლის 1 აპრილის №004303 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 1 აპრილის №004303 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 1 აპრილის №004303 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“-ს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ნოემბრის № 2-956 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, 2009 წლის 2 ივნისის № 62 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“ ვალდებულია:**

ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საგანგებო (ავარიულ) სიტუაციის შემთხვევაში, მუდივად უზრუნველყოს შეთანხმებული საგანგებო (ავარიულ) სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. **მათ შორის:** საგანგებო სიტუაციის (ხანძარი) შესახებ ინფორმაცია **დაუყოვნებლივ** მიაწოდოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს **სამინისტროს ცხელი ხაზის (153) საშუალებით ან/და დეპარტამენტის ელ. მისამართზე:** info@des.gov.ge (სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების **გეგმის 8.2 პუნქტის შესაბამისად).**